Himmvac
Dalguban N+(Plus) Live Vaccine

ნიუკასლის დაავადების ვირუსი, გენოტიპი VII KBNP-C4152R2L შტამი, მშრალად გაყინული

ფრინველის ვაქცინა

Himmvac
Dalguban Plus

პროდუქტი დამზადებულია უზუსტესი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და შეიცავს ნიუკასლის დაავადების ვირუსის VII გენოტიპს (KBNP-C4152R2L შტამი). რეკომენდირებულია ჯანმრთელი წიწილების ასაცრელად ნიუკასლის დაავადების პრევენციისთვის.

შემადგენლობა

შეიცავს ნიუკასლის დაავადების ვირუსს VII გენოტიპი, შტამი KBNP-C4152R2L.

ჩვენებები

პროდუქტი გამოიყენება ჯანმრთელი წიწილების ვაქცინაციისთვის, ნიუკასლის დაავადების საპრევენციოდ.

გამოყენების რეკომენდაციები

ვაქცინაცია შესაძლებელია 3 შესაძლო მეთოდით. შესხურებით, თვალში ჩაწვეთებით ან სასმელ წყალში შერევის გზით. ფლაკონი გახსნისთავე გამოიყენეთ. გაეცანით ქვემოთ მითითებულ რეკომენდაციებს

A. შესხურების მეთოდი

1. შემფრქვევი მომართეთ იმგვარად, რომ თანაბარი ზომის წვეთები შეასხუროს (60-115 μm).

2. შეასხურეთ პირდაპირი დასხურების მეთოდით, წიწილების ზემოდან 50-70 სმ-ის დაშურებით. დაიცავით შემასხურებლის გამოყენების ინსტრუქციები.

3. შესხურებისას გამორთეთ გამათბობელი, ვენტილატორი და ყველა ის მოწყობილობა რომელმაც შეიძლება წვეთები ჰაერში გააბნიოს.

B. თვალში ჩაწვეთების მეთოდი

1. ჩაასხით მცირე მოცულობის გამხსნელი საშუალება ფლაკონში და კარგად შეანჯღრიეთ.

2. გადაასხით ნაწილობრივ გახსნილი ვაქცინა გამხსნელის ბოთლში და კიდევ შეანჯღრიეთ.

3. 1000 დოზიანი ვაქცინა იხსნება 30 მლ მოცულობის გამხსნელში. მიღებული ხსნარი ჩააწვეთეთ თითოეულ წიწილას თვალში დაახლოებით 0,03 მლ ოდენობით.

4. წიწილის თვალი დააფიქსირეთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და ჩააწვეთეთ 0,03 მლ ხსნარი თვალში.

5. თითი დააფარეთ წიწილის ცხვირს, ვიდრე ხსნარი არ შეიწოვება თვალში. მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვით წიწილა.

C. სასმელ წყალში შერევის მეთოდი

1. ვაქცინაციის დაწყებამდე 2 საათით ადრე ქათამს სრულად შეუწყვიტეთ სასმელი წყლის მიწოდება.

2. უზრუნველყავით შესაბამისი სივრცე. იმისათვის რომ ქათმების 2/3-მა მაინც ერთდროულად შეძლოს სასმელ წყალთან მისვლა

3. ვაქცინა გახსენით სასმელ წყალში და მიაწოდეთ ქათამს. დაიცავით ეტიკეტზე მითითებული დოზირება.

4. მნიშვნელოვანია, რომ ვაქცინაციამდე და ვაქცინაციის შემდგომ 24 საათიან პერიოდში სასმელი წყლით არ მიაწოდოთ რაიმე სხვა მედიკამენტი.

5. დარწმუნდით, რომ ყველა წიწილამ შეძლო ვაქცინის შემცველი სასმელი წყლის მიღება.

6. ეცადეთ წყლის ტემპერატურა იყოს 21 გრადუს ცელსიუსთან ახლოს.

სიფრთხილის ზომები

- შეინახეთ 2-8 გრადუს ცელსიუს ტემპერატურაზე.
- მოარიდეთ სინათლის სხივს.
- ვაქცინაცია ჩაუტარეთ ჯანმრთელ წიწილას.
- მოარიდეთ ბავშვებს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ვეტერინარის რჩევით.
- გამოიყენეთ მხოლოდ ვეტერინარული მიზნობრიობით

შეფუთვა

2000 დოზიანი ფლაკონი



მწარმოებელი KBNP inc.
სამხრეთ კორეა
www.kbnp.net
kbnpexport@kbnp.co.kr
+82-31-478-5775

INTRACO GEORGIA

ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
შპს ინტრაკო ნუტრიშენი

www.intraco.ge

+995 551 09 19 00
+995 595 94 71 47
info@intraco.ge
გარდაბნის რაიონი, სოფელი თელეთი